ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N49

ქ.თბილისი 22 ნოემბერი, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გიორგი გაბაშვილი	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ბექა დავითულიანი	გიორგი დოხტურიშვილი
ლევან დარახველიძე	თევდორე ისაკაძე
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
შალვა ოგბაიძე	თინათინ ნიბლოშვილი
დათო რურუა	ელენე ოზაშვილი
რევაზ სოხაძე	დათო ჟღენტი
დავით უთმელიძე	ნინო რუხაძე
თარაშ შურღაია	თამარ ტალიაშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ვახტანგ შაქარიშვილი
დავით ჭელიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ვლადიმერ ძნელაძე
ქეთევან ჯოხაძე	ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯუმბერ ყანდარელი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი გიორგი კიკვიძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი თამარ ურუშაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილიკანდიდატი ლევან ჯღარკავა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და ისაუბრა თბილისში მიმდინარე ე.წ. „ბოქლომის დადების აქციაზე". დღეს, დილის საათებში, საკრებულოს სხდომის დარბაზზე, ერთ-ერთი კოლეგის მხრიდან, „ბოქლომის დადების" მცდელობას „ღიმილის მომგვრელი" უწოდა და განაცხადა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, მიმდინარე წლის განმავლობაში განახორციელა მასშტაბური ღონისძიებები და პროექტები, ხოლო მომავალი წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია კიდევ უფრო ამბიციური გეგმების განხორციელება. მისი თქმით, საკრებულომ, მიმდინარე სხდომაზე, უნდა განიხილოს და გადაწყვეტილებები მიიღოს თბილისელებისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. გიორგი ტყემალაძემ ლევან ხაბეიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, თითქოს საკრებულოს შენობაში შემოსვლის საშუალება არ მიეცა გარკვეული ადამიანების ჯგუფს, რომელთანაც დაგეგმილი ჰქონდა სამუშაო შეხვედრა, „შოუს დადგმის მცდელობა" უწოდა, რადგან ხსენებული შეხვედრისთვის, საკრებულოში გამოყოფილი იყო ოთახი, თუმცა არავითარი სამუშაო შეხვედრა არ გამართულა.

ლევან ხაბეიშვილმა, რომელიც, ბოიკოტის ნიშნად, არ უნდა დასწრებოდა საკრებულოს სხდომას, თუმცა იმყოფებოდა დარბაზში, კომენტარი გააკეთა გიორგი ტყემალაძის გამოსვლაზე და განაცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ცრუობს, რადგან მას გადაცემული ჰქონდა იმ ადამიანების სია, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ სამუშაო შეხვედრას, თუმცა ერთ-ერთი მოქალაქე არ შემოუშვეს შენობაში. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის არც ერთ წევრს არ გამოუჩენია კოლეგიალობა ირაკლი ნადირაძის მიმართ, რომელსაც აქციებში მონაწილეობის გამო, მიუსაჯეს რამდენიმედღიანი პატიმრობა და არავინ მისულა სასამართლოზე. საუბრის ბოლოს, მიმართა საკრებულოს წევრებს: „როგორ ფიქრობთ, ირაკლი ნადირაძე კრიმინალია და ციხეში უნდა იჯდეს?" და დატოვა დარბაზი.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ როდესაც საშვი დაშვებულია 25 ადამიანზე, მათი საკრებულოს შენობაში შემოსვლა უნდა მოხდეს ორგანიზებულად, ხოლო ის მოქალაქე იყო მოსული მარტო, რაც გახდა მისი შენობაში არშემოშვების მიზეზი.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მმართველი პოლიტიკური გუნდის და ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობაა და იმის ნაცვლად, რომ შემდგომი ერთი წელი ყოფილიყო მაქსიმალურად მშვიდი და დემოკრატიული საარჩევნო წელი, დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს პროცესები ქუჩაში გადაიტანა. მისი თქმით, საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან იმაზე საუბარი, რომ ადამიანების პროტესტი ღიმილის მომგვრელია, აღმაშფოთებელია და არაფერია ღიმილის მომგვრელი იმაში, თუ რა კრიზისშია დღეს ქვეყანა.

გიორგი ტყემალაძემ გიორგი გაბაშვილს შეაწყვეტინა გამოსვლა და განაცხადა, რომ ღიმილის მომგვრელი კონკრეტული ადამიანების საქციელია და არა მოქალაქეების პროტესტი, რადგან მათ ამის სრული, ლეგიტიმური უფლება აქვთ და მიმართა გიორგი გაბაშვილს, რომ ნუ ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ნუ აკეთებს მისი სიტყვების ინტერპრეტაციას.

გიორგი გაბაშვილმა საუბარი განაგრძო და მიმართა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს: „თქვენ ასე ვერ ჩაატარებთ არჩევნებს... თუ გგონიათ, რომ საქართველოში 3700 უბანზე მიიყვანთ სპეცრაზმს და თუ გგონიათ, რომ ძალადობით და მოტყუებით ჩაატარებთ არჩევნებს, ძალიან ცდებით..." მან „ღრმა პოლიტიკური კრიზისი" უწოდა იმ მდგომარეობას, რომელშიც დღევანდელი ხელისუფლება იმყოფება, ხოლო საკრებულოს უმრავლესობის წევრებს - „ზნეობრივი კრიზისში მყოფი", რადგან არც ერთ მათგანს არ მოუკითხავს სრულიად გაყალბებული ბრალდებით დაკავებული კოლეგა. გიორგი გაბაშვილის თქმით, საკრებულოს უმრავლესობა დასცინის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებას, ახალგაზრდობას, პოლიტიკურ პარტიებს და ამიტომ, არ შეუქმნის მათ იმ კომფორტს, რომ საკრებულოს დარბაზში არ ნახონ სამოქალაქო პროტესტის სიმბოლო. სიტყვის დასრულების შემდეგ,

დარბაზიდან გასვლისას, ბოქლომი დაადო ტრიბუნის მიკროფონს და მიმართა უმრავლესობას: „ამ ბოქლომს, რა თქმა უნდა, თქვენ მოხსნით, მაგრამ ვერ მოიხსნით იმ პასუხისმგებლობას, რომელიც გაკისრიათ ყველას ამ პოლიტიკურ კრიზისზე“.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ როდესაც საუბარია პასუხისმგებლობაზე, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მყოფი ადამიანები, თითოეულ საქციელზე აგებენ პასუხს, ასევე, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, თუ ვინ რაზე იტვირთავს პასუხისმგებლობას. „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა, განაცხადა, რომ 2024 წლიდან ქვეყანა გადავა არჩევნების პროპორციულ სისტემაზე, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ამის გაკეთება სცადა 2020 წლისთვის, რაც ვერ განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით, პრეტენზიას გამოთქვამს ის პოლიტიკური გუნდი, რომელმაც პარლამენტში მაჟორიტარული სისტემის მანდატების რაოდენობა 50-დან 75-მდე გაზარდა. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ ტვირთი იქნება ის, რომ ვერ მოახერხა არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2020 წლიდან, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ტვირთი იქნება მთელი მათი მოღვაწეობა 9 წლის მანძილზე - „ქუჩაში ადამიანების ჩაცხრილვა, ტერორი, მთელ ქვეყანაზე ბოქლომების დადება და ციხეებში წამება“. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ოპოზიცია ვერაფერს მიაღწევს რევოლუციური სცენარით, მოსახლეობა არჩევნებზე გააკეთებს არჩევანს.

ირაკლი ზარქუას თქმით, გიორგი გაბაშვილი „პირნათელი რომ იყოს, დიდი ხნის წინ დაადებდა ბოქლომს ნაციონალურ მოძრაობას და მის ანასხლეტს“, რათა აღარასდროს განმეორდეს ადამიანების დაკავება პოლიტიკური ნიშნით, ბიზნესის მიტაცება და სხვა მრავალი მათი ხელისუფლების ქმედება. ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 2020 წლის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია, თუ როგორ უნდა მოვემსახუროთ დედაქალაქის მოსახლეობას - განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, რომელსაც „საუკუნის პროექტები“ უწოდა და აღნიშნა, რომ ისინი სჭირდება დედაქალაქის მოსახლეობას. საუბრის ბოლოს, ირაკლი ზარქუამ მიმართა ახალგაზრდობას: „ნუ აყვებით და ნუ გახდებით ამ მარგინალური პარტიის მძევლები... მათი ინტერესია რამენაირად მოვიდნენ ხელისუფლებაში... ნუ მისცემთ საშუალებას გამოგიყენონ...“

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა - „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბოქლომიანმა წარსულის ქიმერებმა ჩვენი დღის წესრიგი არ უნდა შეცვალონ... ეს არის არის პროტესტი, ეს არის დესტრუქცია... ეს არის არა ხალხის მოთხოვნა, არამედ ერთი, კონკრეტული ჯგუფის მოქმედებები, რომლის უკანაც არ დგას მოსახლეობა...“ მისი თქმით, მოსახლეობა დგას იმ ინიციატივების და პროექტების უკან, რომელსაც საკრებულო განიხილავს მიმდინარე სხდომაზე. სოციალური და ჯანდაცვის პროექტები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდერნიზება, ახალი ბაგა-ბაღები და ინფრასტრუქტურული პროექტები არის ის, რაც კეთილდღეობას მოუტანს მოსახლეობას და ჩვენ უნდა განვაგრძოთ მათი განხორციელება.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება, სამწუხაროდ, გადაიქცა პარაზიტ პოლიტიკურ ორგანიზმად და ორგანიზაციად, რომელიც ცოცხლობს და იკვებება მორალურად გახრწნილი ნაციონალური მოძრაობით“. მისი თქმით, ეს არის „ერთი ჯოხის ორი ბოლო“, რადგან, რეალურად, ქვეყანაში არსებულ კრიზისებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას და განვითარებას, თავად ქმნის ხელისუფლება და ამ სიტუაციაში ერთადერთ მაშველ რგოლად ესახება „დისკრედიტირებული პოლიტიკური ძალა - ნაციონალური მოძრაობა, მისი დანაყოფებით თუ დანამატებით“. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკაში დატოვება, დღეს წარმოდგენილი არაადეკვატური პროპორციით, აღარ შეიძლება, რადგან არც ერთ ამ ძალას აღარ აქვს ლეგიტიმაცია და საზოგადოების მხარდაჭერა. განცხადების გაკეთების შემდგომ, ვახტანგ შაქარიშვილმა დატოვა საკრებულოს სხდომა.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომათა დარბაზში დღეს იყო ორი სიმბოლო - ბოქლომი და ცოცხი, ხოლო საბჭოთა კავშირის სიმბოლო იყო ნამგალი და ურო და

როგორც დღევანდელობაში ვეღარ დაბრუნდება საბჭოთა კავშირი, ასევე, ვეღარ დაბრუნდება მიხეილ სააკაშვილი ამ პოლიტიკურ სივრცეში. მისი თქმით, ივნისის მოვლენების დროს, იყო მცდელობა საზოგადოების ჯანსაღი პროტესტი გამოეყენებინათ თავიანთი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის, თუმცა მათ ეს არ გამოუვიდათ, რადგან სახელმწიფო უწყებების ჩამოშლის მცდელობას სამართალდამცავი უწყებები ყოველთვის უპასუხებენ ისევე ღირსეულად, როგორც დღევანდელი ხელისუფლება უპასუხებს ქვეყანაში არსებულ ყველა გამოწვევას. გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა თბილისის 2020 წლის ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ ის ემსახურება ბაღებში ხელფასების ზრდას, მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას, რაც ჩვენი ქალაქის და მოსახლეობის უკეთესი მომავალისკენ გადადგმული ნაბიჯია. საუბრის ბოლოს, მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს - „შეცვალეთ მოძრაობა და არ გაბედოთ არეულობა ამ ქვეყანაში“.

თინათინ ნიბლოშვილმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ „შემდუღებლების პარტია“ უწოდა და განაცხადა, რომ დღეს, როდესაც თბილისის ყველა გულშემატკივარი ელოდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკრებულო თბილისის 2020 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, ის ცდილობს არეულობა შემოიტანოს ქვეყანაში. მისი თქმით, ე.წ. „შემდუღებლების პარტია“ ცდილობს ბოქლომი დაადოს ყველა მწვანე სივრცეს და ყველა სიკეთეს, რომელიც 2020 წლის ბიუჯეტმა უნდა მოუტანოს ქალაქს. თინათინ ნიბლოშვილმა ასევე, განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერასდროს გახდება ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების ადრესატი, რადგან არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო საზოგადოება თანხმდება, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გვაქვს უდიდესი წინსვლა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „არც ერთი ჩვენგანი არ მივცემთ უფლებას დააბოქლომონ თბილისის მომავალი სიკეთეები და ვიდრე ამ ქვეყანაში ადამიანებს ექნებათ თავისუფალი არჩევანის უფლება, ისინი ყოველთვის აირჩევენ მშვიდობას“.

ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ დღეს, საკრებულოს დარბაზში დაინახა, რომ რამდენიმე ადამიანისთვის განსხვავებული აზრი გახდა მიუღებელი და მოუწოდა ყველას: „ვისწავლოთ განსხვავებული აზრის ატანა, მოსმენა, გაანალიზება“. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ არის რევანშისტული ძალა და შეპყრობილია ხელისუფლებაში მობრუნების მანიით და ეს ძალა სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ მოიყვანა. ისაუბრა იმაზე, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, მომავალ კვირაში, უნდა განიხილოს იმ ადამიანების თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ციხეებში ამწესებდნენ და ამწარებდნენ ადამიანებს და მიმართა საკრებულოს წევრებს: „სად არის ლოგიკა ამასთან მიმართებაში“. მისი თქმით, სწორედ ამაზე საუბრობდა ვახტანგ შაქარიშვილი, რომ ეს ყველაფერი კოჰაბიტაციის და უუნარობის შედეგია და ძალიან სამწუხაროა, რომ მის გამოსვლას მოჰყვა არასწორი რეაქცია და მიმართა უმრავლესობას „იმედია, მომავალში ჩვენს კრიტიკას აიტანთ“. ჯაბა ჯიშკარიანმა დატოვა საკრებულოს სხდომა.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ განსხვავებული აზრი სხვაა, ხოლო შეურაცხყოფა - სხვა და განსხვავებული აზრის მიუხედავად, კოლეგებმა ერთმანეთი არ უნდა შეურაცხყონ. „გულდასაწყვეტია, რომ ამდენი წლის შემდეგ, ოპოზიცია ბოქლომების იქით ვერ წავიდა“, თუმცა, თბილისის მოსახლეობამ ნათლად დაინახა, რომ „ბოქლომების რევოლუცია“ ვერ შედგა. მისი თქმით, დღეს, ყველაზე მნიშვნელოვანია 2020 წლის ბიუჯეტის განხილვა, რომელიც მორგებულია ნახევარ მილიონ ადამიანზე, თუმცა ოპოზიციას თბილისის წარმატება არ უხარია, რადგან არიან „ხალხის მტრები“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობა არჩევნებზე იტყვის თავის სიტყვას.

ვლადიმერ ძნელაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა, თუ როგორი იქნება ჩვენი ქალაქის და ქვეყნის ხვალინდელი დღე, თუმცა მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს და მიმართა ახალგაზრდობას, გააანალიზონ ვის რა გაუკეთებია ქვეყნისთვის, ხოლო საკრებულოს წევრებს მოუწოდა არ „წამოეგონ იაფფასიან პროვოკაციებს“.

შალვა ოგბაიძემ მიმართა საკრებულოს სხდომათა დარბაზში მყოფ ახალგაზრდობას, რომ ოპოზიციის და ჯანსაღი ახალგაზრდული ძალის გარეშე, ნებისმიერ ხელისუფლებას ემართება „ვარსკვლავური დაავადება“. ნებისმიერი მომდევნო ხელისუფლება უნდა სჯობდეს წინას, თუმცა თუ დღევანდელ ახალგაზდრობას არ ექნება სოლიდარობა და დადგება „უწარსულო ადამიანების“ გვერდით, არ ექნება მხარდაჭერა.

ერეკლე კუხიანიძემ გულის ტკივილი გამოხატა, რომ საკრებულოს სხდომა წარიმართა ემოციურ ფონზე და განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობენ, მშვიდი და პოზიტიური მდგომარეობიდან გამოიყვანონ ქვეყანა, რასაც, გარკვეული დოზით, ახერხებენ. აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება ჯაბა ჯიშკარიანს, თითქოს უმრავლესობისთვის განსხვავებული აზრი მიუღებელია, რადგან საკრებულოს წევრები მოთმინებით ისმენდნენ ვახტანგ შაქარიშვილის გამოსვლას, როდესაც მან „ქართული ოცნება“ გააიგივა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მათ „ერთ ჯოხზე მსხდომები უწოდა“. ერეკლე კუხიანიძემ, ე.წ. „ბოქლომების დადებას“, „მეციხოვნეების პოზიცია“ უწოდა, რაც, მისი თქმით, იწვევს აბსოლუტურად სხვა ასოციაციას და განაცხადა, რომ „დამთავრდა ბოქლომების დადება. ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ, მაგრამ მუშაობისთვის ხელის შემლა და ქვეყნის ან დედაქალაქის პარალიზება სრულიად წარმოუდგენელია და ამას არავინ დაუშვებს“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი:გიორგი კიკვიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ანდრია ბასილაია

5. „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

6. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მიმდებარედ 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალალისთვის“ (ს/ნ.: 425362341) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

7. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული N01.16.05.027.029 საკადასტრო ერთეულიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და N01.16.05.032.024 საკადასტრო ერთეულიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „ადელინა ასლოევასთვის“ (ს/ნ.: 01011090323) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

8. „ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი N22-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.15.001.399) შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის“ (ს/ნ.: 405187621) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

9. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (ს/კ.: N81.02.36.094) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუსი N3 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

11. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040 საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

12. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუსი N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.019.010.01.078) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

13. „ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.104.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

14. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მუხაძის, მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

15. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

16. „ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

17. „ქალაქ თბილისში, დასახლება საქსოფმანქანა, კვარტალი IV, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.088) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ შალვა ასიტაშვილს (პ/ნ.: 01035000716) შორის 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შალვა ასიტაშვილის (პ/ნ.: 01035000716) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

20. „ქ.თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

21. „ქ.თბილისში, ისანი -სამგორის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 ოქტომბრის N1619 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

22. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

23. „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

24. „ქალაქ თბილისში, დიღომში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

25. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.085; N01.19.36.003.063; N01.19.36.003.086; N01.19.36.003.101; N01.19.36.003.096; N01.19.36.003.087; N01.19.36.003.081; N01.19.36.003.068; N01.19.36.003.093; N01.19.36.003.105; N01.19.36.003.106; N01.19.36.003.067; N01.19.36.003.066; N01.19.36.003.021; N01.19.36.003.100; N01.19.36.003.102; N01.19.36.003.028; N01.19.36.003.083; N01.19.36.003.095 (ასევე, მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ. ისაუბრა ლევან ჯღარკავას პროფესიონალიზმზე და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულო მხარს დაუჭერს მის კანდიდატურას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ლევან ჯღარკავა და მისი საქმიანობა საკრებულოს თითოეული წევრისთვის კარგად არის ცნობილი და მისი კანდიდატურა წარმოდგენილ თანამდებობაზე მისასალმებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. განაცხადა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1020000000 ლარს, რაც წინა წლის პირველად ბიუჯეტზე 92000000 ლარით მეტია. დეტალურად ისაუბრა ხარჯების გადანაწილებაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებზე ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულია საკმაო რაოდენობის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, აქამდე წარმოდგენილ პროექტებთან შედარებით, არის ერთ-ერთი საუკეთესო და „რეკორდული“, რაც გაცილებით მეტი პროგრამის და პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა. მან იმედი გამოთქვა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ერთობლივად, კონსულტაციების რეჟიმში, განაგრძობს მუშაობას საკრებულოს კომისიების და ფრაქციების რეკომენდაციებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გიორგი კიკვიძემ და განმარტა, რომ ქალაქის მასშტაბით, სამშენებლო კონტროლს ახორციელებს მუნიციპალური ინსპექცია და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქვე აღნიშნა, რომ პროექტი სხდომაზე წარმოდგენილია საკრებულოს კომისიების შენიშვნების გათვალისწინებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო

ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა. მისი თქმით, ტრანსპორტის სფეროში დაგეგმილი სიახლეებიდან გამომდინარე, ქონების გადასახადის შემცირება სწორი ნაბიჯია, რათა მოხდეს ამ სექტორის სტიმულირება. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი რეალურად არის სუბსიდიის ქვეშ და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ პროექტს არ ექნება ფისკალური ეფექტი.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მისასალმებელია, რადგან სპორტული ობიექტების გარკვეული ნაწილი საჭიროებს შეღავათს და ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ ზუსტად არის განსაზღვრული კლასიფიკატორები, თუ ვის შეუძლია შეღავათით სარგებლობა, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროში არსებული ბევრი პრობლემის მოგვარებას და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ მიმდინარე წელს დამტკიცდა ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ათწლიანი სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება, რასთან დაკავშირებითაც უკვე ჩატარებულია კონკურსი და გამოვლენილია გამარჯვებული. საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება არის 490032 ევრო, თბილისის ბიუჯეტიდან მოხდება მხოლოდ „დღგ“-ს გადასახადის დაფინანსება, ხოლო დანარჩენი თანხა სრულად არის გრანტი, რომელიც საჩუქრად გადმოეცემა მუნიციპალიტეტს.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მისასალმებელია, რადგან ის ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მიმდებარედ 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.877) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალალისთვის“ (ს/ნ.: 425362341) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში პანდუსის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული N01.16.05.027.029 საკადასტრო ერთეულიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და N01.16.05.032.024 საკადასტრო ერთეულიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „ადელინა ასლოევასთვის" (ს/ნ.: 01011090323) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, დელისის მე-3 ჩიხი N22-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.15.001.399) შპს „ინტერსტანდარტ საბურთალოსთვის" (ს/ნ.: 405187621) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, კიბის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (ს/კ.: N81.02.36.094) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში სატუმბო სადგურის ფუნქციონირების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუსი N3 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ჩვიდმეტი ოჯახისთვის 304 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 20 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040 საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ოთხი ოჯახისთვის 201 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 1998-2008 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, ზემო პლატოს კორპუსი N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.019.010.01.078) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 35 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ვასილ თამარაშვილის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.104.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგეწილია შვიდი ოჯახისთვის 362 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 2005-2006 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მუსაძის, მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ცამეტი ოჯახისთვის 567 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია სამი პირისთვის 137 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომლებიც 2011 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ქუჩა გმირი კურსანტები, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ცხრა ოჯახისთვის 320 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, დასახლება საქსოფმანქანა, კვარტალი IV, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.088) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 36 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ შალვა ასიტაშვილს (პ/ნ.: 01035000716) შორის 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შალვა ასიტაშვილის (პ/ნ.: 01035000716) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა თამარ ურუშაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მოქალაქე შალვა ასიტაშვილის გათავისუფლება 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან, რაც გამოწვეულია იმით, რომ მას, 2018 წელს, სოციალური პროექტის ფარგლებში, სიმბოლურ ფასად, გადაეცა იგივე მიწის ნაკვეთი, რომელიც მანამდე გადაცემული ჰქონდა ნასყიდობით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 30 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031931141-03 თარიღი: 07.11.2019 (25 პოზიცია) და N12-031931142-03 თარიღი: 07.11.2019 (5 პოზიცია), რომელთაგან საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და განსახილველად უნდა გაიდადოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-031931141-03 წერილით წარმოდგენილი „დ", „ს", „ტ", „ფ" პოზიციები და N12-031931142-03 წერილით წარმოდგენილი „დ" პოზიცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ დაგეგმილია 12 სართულიანი შენობის მშენებლობა, საიდანაც ცხრა სართული დაეთმობა საცხოვრებელ ბინებს, ხოლო დანარჩენი გათვალისიწნებულია საოფისე და კომერციული ფართებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, ისანი -სამგორის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 ოქტომბრის N1619 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია საპროექტო არეალის გაზრდა, რომელზეც დაგეგმილია როგორც საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება, ასევე სარეკრეაციო სივრცის მოწყობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართობია 274666 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, ტერიტორიაზე მოქმედი ზონის სტატუსის შესაბამისად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია საპროექტო არეალის გაზრდა და ფუნქციის დამატება, კერძოდ, ემატება ოფისი და კომერციული ფართები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, დიღომში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ „თეგეტა მოტორსის" სერვის ცენტრის გაფართოების მიზნით, დაგეგმილია საოფისე, საგამოფენო, სასაწყობე და დამხმარე ფუნქციის მქონე ნაგებობების მშენებლობა, რომელთაგან ძირითადი შენობა-ნაგებობა იქნება სამსართულიანი, ხოლო დამხმარე ნაგებობები იქნება ერთი ან სამსართულიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.085; N01.19.36.003.063; N01.19.36.003.086; N01.19.36.003.101; N01.19.36.003.096; N01.19.36.003.087; N01.19.36.003.081; N01.19.36.003.068; N01.19.36.003.093; N01.19.36.003.105; N01.19.36.003.106; N01.19.36.003.067; N01.19.36.003.066; N01.19.36.003.021; N01.19.36.003.100; N01.19.36.003.102; N01.19.36.003.028; N01.19.36.003.083; N01.19.36.003.095 (ასევე, მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება სავაჭრო ფუნქციით, კერძოდ, გათვალისწინებულია მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა, სადაც ძირითადი სავაჭრო ობიექტი იქნება ოთხ-ხუთსართულიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 21 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი